პროექტი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ _____

ქალაქი ქუთაისი 30 ნოემბერი 2022 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქეების: ანა ჩაკვეტაძის, ემელია კუპრაშვილის, მანანა ჩხეიძის, ლევან მახათაძისა და რუსუდან მილორავასათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილებისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის ------ ნოემბრის № ---------- წერილობითი მომართვის შესაბამისად:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, იოსებ ხახალეიშვილს, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქეების: ანა ჩაკვეტაძის, ემელია კუპრაშვილის, მანანა ჩხეიძის, ლევან მახათაძისა და რუსუდან მილორავასათვის 5 (ხუთი) წლის ვადით სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, დანართის შესაბამისად.

(დანართი წინამდებარე განკარგულებას თან ერთვის)

მუხლი 2. ქონების წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „აუდიტორული კომპანია ალსოს“ შორის 2022 წლის 11 თებერვალს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №57 ხელშეკრულების საფუძველზე, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „აუდიტორული კომპანია ალსოს“ მიერ წარმოდგენილი დასკვნის (21.03.2022 წლის №08/03) მიხედვით, რომელიც 1.0 კვ.მ.-ზე შეადგენს 100.0 (ასი) ლარს.

მუხლი 3. სარგებლობაში გადაცემული უძრავი ქონება გამოყენებულ იქნეს კიბის უჯრედების მოსაწყობად, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შეთანხმებული პროექტების მიხედვით.

მუხლი 4. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა, იოსებ ხახალეიშვილმა უზრუნველყოს იჯარის ხელშეკრულებების მომზადება და გაფორმება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადებით.

მუხლი 5. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 7. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი: იოსებ ხახალეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2022 წლის 30 ნოემბრის
№ -------- განკარგულების დანართი

პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით,
მოქალაქეების: ანა ჩაკვეტაძის, ემელია კუპრაშვილის, მანანა ჩხეიძის,
ლევან მახათაძისა და რუსუდან მილორავასათვის
სარგებლობაში გადასაცემი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკუთრებაში არსებული ქონების ჩამონათვალი

№	მოიჯარე	პირადი/ საიდენტი-ფიკაციო ნომერი	მისამართი	ქონების დასახელება	ფართობი	საკადასტრო კოდი	წლიური საიჯარო ქირა (ლარი)	დანიშნულება
1.	მოქალაქე ანა ჩაკვეტაძე	60001034887	ქალაქი ქუთაისი, ვარლამიშვილის ქუჩა №9-ის აღმოსავლეთით	ტროტური	2.38 კვ.მ.	03.03.22.420	238	კიბის უჯრედის მოსაწყობად
2.	მოქალაქე ემელია კუპრაშვილი	60001036605	ქალაქი ქუთაისი, ავტომშენებლის გამზირი №15-ის ჩრდილოეთით	ტროტუარი	1.28 კვ.მ.	03.01.23.872	128	კიბის უჯრედის მოსაწყობად
3.	მოქალაქე მანანა ჩხეიძე	60001133308	ქალაქი ქუთაისი, ავტომშენებლის გამზირი №3-ის ჩრდილოეთით	ტროტუარი	1.89 კვ.მ.	03.01.21.007	189	კიბის უჯრედის მოსაწყობად
4.	მოქალაქე ლევან მახათაძე	18001019225	ქალაქი ქუთაისი, ავტომშენებლის გამზირი №9-ის ჩრდილოეთით	ტროტუარი	1.00 კვ.მ.	03.01.21.008	100	კიბის უჯრედის მოსაწყობად
5.	მოქალაქე რუსუდან მილორავა	60001017713	ქალაქი ქუთაისი, აკაკი წერეთლის ქუჩა №163-165-ის დასავლეთით	ტროტუარი	6.40 კვ.მ.	03.06.21.502	640	კიბის უჯრედის მოსაწყობად

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი: იოსებ ხახალეიშვილი

,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების,
პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით,
მოქალაქეების: ანა ჩაკვეტაძის, ემელია კუპრაშვილის, მანანა ჩხეიძის,
ლევან მახათაძისა და რუსუდან მილორავასათვის
სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ
ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით

განმარტებითი ბარათი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული იქნა მოქალაქე ანა ჩაკვეტაძის (16.08.2022 წ. №19/4422228248-44) განცხადება, რომელიც შეეხება ქალაქ ქუთაისში, ვარლამიშვილის ქუჩა N9-ის აღმოსავლეთით მდებარე ტროტუარის ნაწილის (ფართობით 2.38 კვ.მ. ს.კ. 03.03.22.420) იჯარის ფორმით სარგებლობაში გადაცემას.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული იქნა მოქალაქე ემელია კუპრაშვილის (18.03.2022 წ. №19/4422077239-44 და 21.03.2022 წ. N442208123-44) განცხადებები, რომელიც შეეხება ქალაქ ქუთაისში, ავტომშენებლის გამზირი N15-ის მიმდებარედ არსებული უძრავი ქონების იჯარის ფორმით სარგებლობაში გადაცემას, კიბის მოწყობის მიზნით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული იქნა მოქალაქე მანანა ჩხეიძის (12.10.2022 წ. №19/4422285346-44) განცხადება, რომელიც შეეხება ქალაქ ქუთაისში, ავტომშენებლის ქუჩა N3-ის ჩრდილოეთით არსებული ტროტუარის (ფართობით 1.89 კვ.მ. ს.კ. 03.01.21.007) იჯარის ფორმით სარგებლობაში გადაცემას.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში განხილული იქნა მოქალაქე ლევან მახათაძის განცხადება (05.10.2022 წ. N19/4422278241-44), რომელიც შეეხება ქალაქ ქუთაისში, ავტომშენებლის ქუჩა N7-ის მიმდებარედ არსებული უძრავი ქონების (1.0 კვ.მ.) სარგებლობაში გადაცემას, კიბის მოწყობის მიზნით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული იქნა მოქალაქე რუსუდან მილორავას განცხადება (12.10..2022 წ. N19/4422285287-44), რომელიც შეეხება 2015 წლის 14 სექტემბერს გაფორმებული N48 საიჯარო ხელშეკრულების ვადის გაგრძელებას. აღნიშნული ხელშეკრულებით სარგებლობაში გადაცემულ უძრავ ქონებაზე, მდებარე ქალაქ ქუთაისი, აკაკი წერეთლის ქუჩა №163-165 -ის დასავლეთით, განსაზღვრული იყო კიბის მოწყობა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია განხორციელდეს, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქეების: ანა ჩაკვეტაძის, ემელია კუპრაშვილის, მანანა ჩხეიძის, ლევან მახათაძისა და რუსუდან მილორავასათვის 5 (ხუთი) წლის ვადით სარგებლობაში გადაცემა.

ქონების წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „აუდიტორული კომპანია ალსოს“ შორის 2022 წლის 11 თებერვალს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №57 ხელშეკრულების საფუძველზე, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „აუდიტორული კომპანია ალსოს“ მიერ წარმოდგენილი დასკვნის (21.03.2022 წლის №08/03) მიხედვით, რომელიც 1.0 კვ.მ.-ზე შეადგენს 100.0 (ასი) ლარს.

სარგებლობაში გადაცემული უძრავი ქონება გამოყენებულ იქნეს კიბის უჯრედების მოსაწყობად, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შეთანხმებული პროექტების მიხედვით.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მერი - საკრებულოს თანხმობით წყვეტს უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სასყიდლით ან უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით, პირობით ან უპირობოდ გაცემის საკითხს.

შესაბამისად, წარმოდგენილია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი ,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქეების: ანა ჩაკვეტაძის, ემელია კუპრაშვილის, მანანა ჩხეიძის, ლევან მახათაძისა და რუსუდან მილორავასათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“.

საკრებულოს სხდომაზე აღნიშნულ საკითხს წარადგენს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი თინათინ ბერიშვილი.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი: იოსებ ხახალეიშვილი